



საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

ბრძანება

№ 1-1/127

10 / მარტი / 2020 წ.


ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ ადმინისტრაციული საჩივრის ადმინისტრაციულ წარმოებაში მიღების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის, 183-ე მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილების, 196-ე მუხლისა და 202-ე მუხლის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ (ს/ნ: 204952676) 2020 წლის 09 მარტის N3554/21 ადმინისტრაციული საჩივარი მიღებულ იქნეს ადმინისტრაციულ წარმოებაში. ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის ვადად განისაზღვროს წარმოებაში მიღების დღიდან 2 თვე.
2. ადმინისტრაციული საჩივრისა და მასზე თანღართული დოკუმენტების ასლები გადაეგზავნოს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – წიაღის ეროვნულ სააგენტოს და დაევალოს საჩივარში მითითებულ გარემოებებთან დაკავშირებით წერილობითი დასკვნის და ადმინისტრაციული წარმოების მასალების წარმოდგენა ბრძანების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში.
3. ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის მიზნით ღია სხდომაზე ზეპირი მოსმენა დაინიშნოს 2020 წლის 10 აპრილს 14:00 საათზე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (მის: ქ. თბილისი, სანაპიროს ქუჩა N2) და წინადადება მიეცეთ ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე მხარეებს უშუალოდ ან კანონმდებლობით დადგენილი წესით წარმომადგენლობის უფლებით აღჭურვილი პირის მეშვეობით მონაწილეობა მიიღონ ზეპირ მოსმენაში დანიშნულ დროს.
4. ადმინისტრაციული საჩივრის ავტორს მიეცეს წინადადება ზეპირი მოსმენის გამართვამდე არაუგვიანეს 2 დღისა წარმოადგინოს საკუთარი მოსაზრებები და დამატებითი დოკუმენტები (მტკიცებულებები) განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.
5. ბრძანება ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება და იგი შეიძლება გასაჩივრდეს ადმინისტრაციული წარმოების საკითხზე მიღებულ საბოლოო (შემაჯამებელ) გადაწყვეტილებასთან ერთად.

მინისტრის მოადგილე



ნინო ენუქიძე